

**ირმა რატიანი
(საქართველო)**

**ინტერდისციპლინური და ინტერინსტიტუციონალური
მიდგომები – ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი
და ქართველოლოგიური კვლევების ეფექტურობის
გარანტი**

ქართველოლოგიური კვლევები ქართული ეროვნული მეცნიერების თვითმყოფადობის დასტური და, შესაბამისად, ქართული იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამომცნობია. 2008 წელს ვწერდი: „რა ადგილი უჭირავს საქართველოს თანამედროვე მსოფლიო კულტურულ რუკაზე? როგორია მისი როლი მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში? რა კულტურული კოდის მატარებელია ქართველი? რას ნიშნავს „პატარა ერის“ კულტურული გამოცდილება „დიდი ერების“ კულტურული გამოცდილების ფონზე?.. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ქართველოლოგიური ანუ ეროვნული სამეცნიერო კვლევების პრეროგატივაა, სადაც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებს უჭირავს“ (რატიანი 2008: 7). ეს აზრი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ისტორია, ისევე როგორც სხვა ქართველოლოგიური დარგების კვლევების ისტორია, წარმოაჩენს ეპოქებს, სტანდარტებს, კომპრომისებსა და წინააღმდეგობებს, თუმცა, უცვლელად ადასტურებს ქართველოლოგიური კვლევების მიზანს, ემსახუროს ქვეყნის ინტერესებს: ერთის მხრივ, იყოს ქართული იდენტობის საზომი და მაჩვენებელი, ხოლო, მეორეს მხრივ – წარმოაჩინოს ქართული კულტურისა და ეროვნული კვლევების ჩართულობა მსოფლიო კულტურულ პროცესებსა და სამეცნიერო დიალოგში. ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ სამეცნიერო კვლევები არ დგას ერთ ადგილას, არამედ, ვითარდება დარგების განვითარებისა და დროის მოთხოვნილებების შესაბამისად. თანამედროვე კვლევების სტანდარტი კი, ვფიქრობ, პრიორიტეტულად ინტერდისციპლინური და, შესაბამისად, ინტერინსტიტუციონალური კვლევებითაა განსაზღვრული, რის დასაბუთებასაც ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების მაგალითზე შევეცდები.

ჟურნალ „სჯანი“-ის 2006 წლის ნომერში (№7), მივუთითებდი: „ლიტერატურულ-თეორიული აზრის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის [ეს] მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს ერთ ჭეშმარიტებას: ლიტერატურის თეორია იყო და არის მუდამ ცვალებადი და განვითარებადი ფენომენი. ლიტერატურის თეორია არასოდეს და ვერასოდეს ჩერდება მიღწეულზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საგანი მისი კვლევისა – ლიტერა-

ტურა – განუწყვეტლივ იცვლის ხედვის პერსპექტივას და, როგორც მუდმივად ცვალებადი ინფორმაციული ნაკადი, განუწყვეტლივ ითხოვს ახალ თეორიულ ხედვებს“ (რატიანი 2006: 7). ლიტერატურათმცოდნეობის ამ ისტორიული ფლექსიურობის საუკეთესო დადასტურებას მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი წარმოადგენს, როდესაც დარგში მომხდარმა ცვლილებებმა ლიტერატურულ-თეორიული აზრის მოჭარბებული სიჭრელე, სიუხვე და მრავალფეროვნება გამოიწვია: „ერთმანეთის გვერდით აღმოცენდა თეორიული სკოლები, რომლებიც განსხვავებულ კონცეპტუალურ საფუძველს ეყრდნობოდნენ: რუსული ფორმალური სკოლა, მ. ბახტინის დიალოგური კრიტიკა, სტრუქტურალიზმი, ფსიქოანალიზი, ფენომენოლოგია, სემიოლოგია, ჰერმენევტიკა, ამერიკული „ახალი კრიტიკა“ (რატიანი 2006: 7). შეიქმნა მულტიინტერპრეტაციული სივრცე, რომლის მეთოდოლოგიურ საძირკველსაც ინდერდისციპლინური კვლევები წარმოადგენდა, იმ მარტივი მიზეზით, რომ თითოეული ზ.წ. სკოლა ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებდა: რუსული ფორმალური სკოლის თეორია გვთავაზობდა ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების სინთეზს ლინგვისტიკასა და/ან ფილოსოფიასთან, მიხაილ ბახტინის „დიალოგური კრიტიკის“ შემთხვევაში კვლევები ფილოსოფიური და ისტორიული დისკურსების კონტექსტში მიმდინარეობდა, სტრუქტურალისტები მჭიდროდ იკვეთებოდნენ ლინგვისტიკასა და ანთროპოლოგიასთან, „ამერიკული „ახალი კრიტიკა“ ესთეტიკის, ლინგვისტიკისა და ფილოსოფიის გზით მიდიოდა, და სხვ. „ინტერდისციპლინური კვლევების უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენდა კვლევა მომიჯნავე დისციპლინებთან აქტიურ კავშირში, რაც, ლიტერატურის თეორიის შემთხვევაში, ნიშნავდა ანალიზს კონცეპტუალურ პარალელებზე დაყრდნობით, ანუ ზოგადჰუმანიტარული კვლევითი არეალის შექმნას“ (რატიანი 2006: 7). აღნიშნული მიდგომა იყო ნოვატორული, პროგრესული, რევოლუციურიც კი, რის გამოც, „ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში შემუშავებული მულტიინტერპრეტაციული და ინტერდისციპლინური მეთოდები სწრაფად გავრცელდა სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურების დონეზე“ (რატიანი 2006: 7); შეიქმნა მულტიკულტურული და კომპარატივისტული კვლევებისათვის საჭირო პირობები და სივრცე, თუმცადა, ამ პრივილეგიით ძალზედ შეზღუდულად სარგებლობდა საბჭოთა ქვეყნების აკადემიური წრეები. საბჭოთა მეცნიერება და, ცხადია, პირველ რიგში, ლიტერატურათმცოდნეობა როგორც ჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთი წამყვანი დარგი, რეჟიმის იდეოლოგიურ სამიზნეს წარმოადგენდა.¹ საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ქართველი ლიტერატურ-

¹ ისევე, როგორც თავად მწერლობა. თუმცადა, ქართული მწერლობის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად „მწერლობის მოთვინიერების“ (აკ. ბაქრაძის ტერმინი) მცდელობისა, მან შეძლო უმთავრესი ღირებულებების გადარჩენა: „საბჭოთა იდეოლოგიის პირობებშიც კი, ე.წ. პროლეტარული და სოციალისტური დისკურსის ფონზე, ქართული ლიტერატურა ცდილობდა გასწორებოდა მსოფლიო ლიტერატურულ სტანდარტებს”

რათმცოდნეები მოკლებულნი იყვნენ აქტიური თანამშრომლობის საშუალებას დასავლურ ლიტერატურულ წრეებთან: „აკრძალული „ბურჟუაზიული ლიტერატურული აზროვნების ნიმუშების“ არა თუ ციტირებას, არამედ ხელისუფლებისათვის არასასურველ კონტექსტში მოხსენიებასაც კი შეიძლებოდა უსიამო შედეგები მოჰყოლოდა“ (რატიანი 2006: 8). ცალკეული მეცნიერები და კრიტიკოსები, მართალია, ახერხებდნენ მცირეოდენ ლავირებას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ინტერდისციპლინური და მულტიკულტურული კვლევების გაშლისა და განვითარებისათვის.

დღეს, როდესაც პოსტსაბჭოთა ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ დაძლია ურთულესი ეტაპები, კერძოდ: მოახდინა მაქსიმალური ასიმილირება დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობასთან, გააფართოვა კვლევების თემატიკა, მასშტაბი და დიაპაზონი, განავითარა კომპარატივისტული კვლევები, შექმნა საუნივერსიტეტო მოდულები და ლიტერატურულ-თეორიული გამოცემების კორპუსი და მოაქცია ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურული კვლევების ყურადღების არეალში,¹ ფვიქრობ, დადგა დრო ახალი ამოცანების დაძლევისა, კერძოდ, ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების გადასვლისა ინტერდისციპლინურ და ინტერინსტიტუციონალურ პლატფორმაზე.

ლიტერატურათმცოდნეობა ე.წ. „ნმინდა“, შეურეველი სახით – გუშინდელი დღეა. საჭიროა დარგთაშორისი კომუნიკაციებისა და კოლაბორაციის განვითარება, რასაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გვთავაზობდნენ და ნერგავდნენ დასავლური ლიტერატურის თეორიის მეტრები და რასაც, იდეოლოგიური შეზღუდვების გამო, ჩამორჩა საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურათმცოდნეობა. ცალკეულ მწერალთა ტექსტების და ლიტერატურული პროცესების ანალიზი მრავალმხრივი მეთოდოლოგიური მიდგომით უნდა განხორციელდეს, რაც საშუალებას მოგვცემს ვანარმოთ ამა თუ იმ ლიტერატურული პერიოდის, მოდელისა თუ ავტორის შემოქმედების ჰოლისტიკური კვლევა. რატომაა ეფექტური ჰოლისტიკური კვლევა? სწორედ იმიტომ, რომ ჰოლიზმი „მთლიანობის“ ფილოსოფიაა, რაც გულისხმობს შესწავლის ობიექტის როგორც „მთლიანი მოცემულობის“ და არა – ცალკეულ ნაწილთა ნაერთის განხილვას. ინტერდისციპლინური კვლევები ამ მიმართულებით გადადგმული საეტაპო ნაბიჯად გვესახება: რაც მეტი დარგობრივი მიდგომა იქნება გამოყენებული კვლევის პროცესში, მით ეფექტური იქნება შედეგი. ინტერდისციპლინური კვლევების ორგანიზება კი, თავისთავად, გულისხმობს ინტერინსტი-

(რატიანი 2006: 8). ამ აზრის უკეთ საილუსტრაციოდ, იხ. ი. რატიანის მონოგრაფია – „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.

1 ამის დასტურია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმები და შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესი, აგრეთვე, უცხოურ გამომცემლობებში განხორციელებული გამოცემები.

ტუციონალურ კოლაბორაციას, როდესაც სხვადასხვა პროფილის ინსტიტუციები ერთიანდებიან საერთო კვლევის ობიექტის გარშემო. ამ თვალთახედვით, ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები შესაძლებელია მჭიდროდ გადაეჯაჭვოს მომიჯნავე დარგებს: ისტორიას, ეთიკას, ლინგვისტიკას, ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, ხელოვნებათმცოდნეობას, კულტუროლოგიას; აგრეთვე, შედარებით დისტანცირებულ დარგებსაც: გეოგრაფიას (ლიტერატურული რუკებისა და გზამკვლევების შედგენა), მათემატიკას (განსაკუთრებით, ლექსმცოდნეობის მიმართულებით), და, ცხადია, სადღეისოდ ყველაზე მოთხოვნად სფეროს – ციფრულ ტექნოლოგიებს (ციფრული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარება)¹.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი სწორედ ამ ახალ პლატფორმაზე იწყებს გადასვლას, რაც უნდა აისახოს კიდევ კვლევით პროექტებში, და დაბეჯითებით მოუწოდებს სხვა ქართველოლოგიური დარგების მესვეურთ შემოუერთდნენ ამ ინიციატივას.

დამონშებანი:

Rat'iani, I. "Ts'inatkma". Ts'ignshi: *Lit'erat'uris Teoria. XX Sauk'unis Dziritadi Metodologiuri K'ontseptsiebi da Mimdinareobani*. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2008 (რატიანი, ი. „წინათქმა“. წიგნი: ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008).

Rat'iani, I. "Kartvelologiuri K'vleebi – Tvitmizani tu Sats'iroeba?" *Sjani*, 9. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2008 (რატიანი, ი. „ქართველოლოგიური კვლევები – თვითმიზანი თუ საჭიროება?“ *სჯანი*, 9. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008).

¹ 2022 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაფუძნდა ციფრული ლიტერატურის ლაბორატორია.

Irma Ratiani
(Georgia)

**Interdisciplinary and Interinstitutional Approaches –
Guarantor of the Effectiveness of Georgian literary Studies
and Georgian Studies**

Summary

Key Words: Georgian literary studies, Interdisciplinary approach, Inter-institutional collaboration.

Georgian studies are evidence of the originality of Georgian national science and, therefore, one of the most important identifiers of Georgian identity. The development of scientific research clearly reflects the dynamics of the process. The history of Georgian literary studies, as well as the history of Georgian studies in other humanitarian areas, invariably confirms its goal to serve the interests of the country: on the one hand, to be a measure and indicator of Georgian identity, and on the other hand, to demonstrate the involvement of Georgian culture and national studies in world cultural processes and scholarly dialogue.

The history of literary studies, like the history of humanitarian researches in general, vividly reflects different epochs, standards, compromises and contradictions. Academic research never stands stagnant, but develops in accordance with the development of the context and time. I'm more that sure, that the standard of modern literary studies is undoubtedly defined by interdisciplinary and inter-institutional researches. The best confirmation of this historical flexibility of literary studies is the first half of the 20th century, when the changes in the field led to an excessive variety, abundance and diversity of literary-theoretical schools. A multi-interpretive space was created, the methodological foundation of which was interdisciplinary studies for the simple reason that each theoretical school had an interdisciplinary character. The necessary conditions and space for multicultural and comparative studies were created; however, the academic circles of the Soviet countries had a limited access to this process. Soviet science and, of course, first of all, literary studies as one of the leading branches of humanitarian thought, were enclosed in a rigid ideological framework by the Soviet regime. Although individual scholars and critics were able to express the innovative opinion, it was not enough to develop interdisciplinary and multicultural studies widely. Today, when the post-Soviet Georgian literary studies has overcome the most difficult stages, and assimilated to the maximum with Western the literary studies, the time has come to develop interdisciplinary and inter-institutional researches. "Pure literary studies", in an unmixed way, – it is a Yesterday. Today it's crucial to improve interdisciplinary and inter-sectorial communications and collaboration, which, in itself, implies inter-institutional collaboration. The Institute of Georgian Literature is starting to move to this new platform and calls on other Georgian scholars to join this initiative.